პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (332) სექტემბერი 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

128. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.

129. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბოგდანოვკის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ.

130. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 27 ივლისის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

131. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

132. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ფ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

133. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

134. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოვეტონ ირისტონის“ მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ. სსრ. სახელმწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

135. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

136. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

128 ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ლაკიას მოხსენება საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ და აღნიშნავს, რომ აღმასკომმა, ხელმძღვანელობდა რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მათი კულტურის დონის შემდგომი ამაღლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის.

გაუმჯობესდა ქალაქის მოსახლეობის შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობები. საანგარიშო პერიოდში საექსპლუატაციოდ გადაეცა 8031 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სერიოზული ღონისძიებანია განხორციელებული კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ქალაქში ქუჩების, ბაღებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული ბიუჯეტის შესრულების, საბინაო მშენებლობის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლების საქმეში. გასულ წელს, საყოფაცხოვრებო მომსახურება ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 10 მანეთსა და 80 კაპიკს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 მანეთისა და 20 კაპიკისა.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 103,8 პროცენტით შეასრულეს.

აღნიშნული წარმატებები მოპოვებულია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და საქალაქო საბჭოს როლის შემდგომი ამაღლების შედეგად.

საბჭოს სესიების მოწვევა ხდება კონსტიტუციით დაწესებულ ვადებში, რეგულარულად იმართება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები. სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად იხილავენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მრეწველობის, მშენებლობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, რომელთა შესწავლა-განხილვაში მონაწილეობენ საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

სათანადო მუშაობას ეწევიან საბჭოს მუდმივი კომისიები. ისინი სწავლობენ და პერიოდულად იხილავენ მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, საანგარიშო პერიოდში სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განხილულია 47 საკითხი. საბჭოს 8 მუდმივი კომისიიდან სესიებს ანგარიში ჩააბარა 5 კომისიამ.

ნაყოფიერად მუშაობენ დეპუტატთა ჯგუფები. ისინი ქუჩის კომიტეტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის მიერ დაყენებული სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო საბჭოს აღმასკომი პერიოდულად ატარებს საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების თათბირ-სემინარებს მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და უფლებამოვალეობის საკითხებზე.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მიღების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მათზე რეაგირების საქმე.

ამასთან ერთად ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა ვერ უზრუნველყო როგორც გასული, ისე მიმდინარე წლის 8 თვის პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება.

ხარვეზებია საბინაო მშენებლობისა და ქუჩების კეთილმოწყობის საქმეშიც. საბინაო მშენებლობის 1968 წლის გეგმა, 1 სექტემბრის მდგომარეობით, შესრულებულია 56,8 პროცენტით. კეთილმოწყობილია ჯორჯაძის, ცხაკაიას, ქარხნის ქუჩები. რამდენიმე წელია ჭიანურდება საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილაქტორიუმის მშენებლობა.

სავაჭრო ორგანიზაციებში ადგილი აქვს ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევებს. ზოგიერთი სასურსათო მაღაზია უზრუნველყოფილი არ არის მაცივრებით, ქალაქში არ არის დიეტური კვების სასადილო. ხარვეზებია კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაშიც. ქალაქის № 2, 3, 4 და 5 ბიბლიოთეკები დაქირავებულ, შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული, არ სრულდება კინოდან შემოსავლის გეგმები.

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიუხედავად ქალაქის სამედიცინო დაწესებულებები განიცდიან ექიმთა კადრების ნაკლებობას, დღემდე ვაკანტურია ექიმის 42 ადგილი.

ნაკლოვანებებია სახალხო განათლების ქსელშიც. კერძოდ, ვხვდებით მოსწავლეთა განთესვის ფაქტებს. გასულ სასწავლო წელს მარტო № 6 საშუალო სკოლიდან განითესა 6 მოსწავლე. დიდია მეორეწლიანთა რაოდენობა. რიგ საბავშვო დაწესებულებას არ გააჩნია საკმაო რაოდენობის ინვენტარი და მოწყობილობა.

არის არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. გარდა ამისა, 1968 წელს მილიციის საბავშვო ოთახში რეგისტრირებული 164 ბავშვიდან 114 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლე იყო.

გარკვეული ხარვეზებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. ნაკლოვანებანია ამხანაგური სასამართლოების, სამეთვალყურეო, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა კომისიების მუშაობაში. ზოგჯერ უხეშად ირღვევა ამ ორგანიზაციათა დებულებები. მაგალითად, პურკომბინატში ამხანაგური სასამართლოს არჩევნები 1964 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ის პირნი, ვისაც ევალებათ პარაზიტული და ანტისაზოგადოებრივი ელემენტების სამუშაოზე მოწყობის საქმე, არ იცნობენ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებას აღნიშნულ საკითხზე.

არის შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები. მიმდინარე წელს წარმოებიდან გათავისუფლებულ 13 მუშა-მოსამსახურიდან სასამართლომ აღადგინა 11.

ნაკლოვანებებია საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში. დეპუტატები ფართოდ არ არიან ჩაბმული სესიებისა და აღმასკომის სხდომების მომზადებაში, წინასწარ არ აცნობენ სესიის დღის წესრიგს, ამიტომაა რომ მათი საერთო რიცხვის 60 პროცენტზე მეტს ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა სესიებზე საკითხების განხილვაში. სუსტია მათი კავშირი ამომრჩევლებთან. არ ხდება მოსახლეობისათვის აღმასკომის ანგარიშის ჩაბარების დროს წამოყენებული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა. ჯერ კიდევ ადგილი აქვს მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის გაჭიანურებას.

არასაკმარისია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი. ამის შედეგია ის, რომ აღმასკომის ზოგიერთი გადაწყვეტილება ან სულ არ შესრულებულა, ანდა შესრულდა დიდი დაგვიანებით. ასე მაგალითად: შესრულებული არ არის გადაწყვეტილებანი № 1 და № 2 საშუალო სკოლების წინ მოაჯირების მოწყობის, მაშველ სადგურთან სატელეფონო კავშირის, საცხოვრებელ სახლებთან ბავშვთა ოთახებისა და სპორტული მოედნების მოწყობის, აბანოსა და საშხაფოს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და სხვა.

აღმასკომი დეპუტატებს არ აცნობს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას. აღმასკომისა და სესიის მიერ მიღებული დადგენილებანი დიდი დაგვიანებით (20-25 დღე) ეგზავნებათ შემსრულებლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაევალოს ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს საქალაქო მეურნეობის ყველა დარგის გეგმათა წარმატებით შესრულებისა და მოსახლეობის კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ქალაქის წარმოება-დაწესებულებების მუშაობისადმი; პერიოდულად განიხილოს მშენებლობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლების, კულტურის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხები და დასახოს საჭირო ღონისძიებანი მათი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის;

2. განამტკიცოს ხელმძღვანელობა და კონტროლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტთა მუშაობისადმი, მიიღოს ზომები ვაჭრობის წესების დარღვევათა აღმოსაფხვრელად;

3. სათანადო ღონისძიებანი განახორციელოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გააძლიეროს კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, ამ საქმეში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მიიღოს ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ცხოვრებაში გასატარებლად, სკოლების, სკოლამდელ და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

5. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების მუშაობის უკეთ წარმართვით უზრუნველყოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება;

6. კონკრეტული ზომები განახორციელოს დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. ეს საკითხი პერიოდულად განიხილოს საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე. ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში ფართოდ ჩააბას მშრომელთა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები;

7. უზრუნველყოს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე პასუხის დროულად გაცემა. ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით, პერიოდულად შეამოწმოს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა დაწესებულება-ორგანიზაციებში, გამოარკვიოს საჩივრების გამომწვევი მიზეზები და მიიღოს ზომები მათ სალიკვიდაციოდ;

8. ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) მიაღწიოს იმას, რომ ყველა დეპუტატი აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებაში; სათანადო ყურადღება მიაქციოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციას. დროულად უზრუნველყოს დეპუტატები საცნობარო მასალით და დაეხმაროს მათ საანგარიშო კრებების მომზადებასა და გამართვაში. აღრიცხოს ამომრჩეველთა ყველა წინადადება და მიიღოს ზომები ამ წინადადებებისა და განაწესების შესასრულებლად;

ბ) სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განიხილოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საბჭოს აქტივი;

გ) გააუმჯობესოს მუდმივი კომისიების საქმიანობა, მიაღწიოს იმას, რომ მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში, საკითხების მომზადებაში, გამოდიოდნენ თანამოხსენებებით და პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

დ) აღმასკომმა ყოველ სესიაზე მოახსენოს დეპუტატებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ამასთან სისტემატური კონტროლი დააწესოს როგორც აღმასკომის გადაწყვეტილებათა, ისე ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულებაზე, ხოლო შედეგები განიხილოს საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე;

ე) უფრო მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მშრომელთა თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და უზრუნველყოს მათი მუშაობის სწორად წარმართვა, ყოველნაირად აამაღლოს მათი როლი და აქტიურად ჩააბას ისინი საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ფოთის საქალაქო აღმასკომმა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1969 წლის 1 ივლისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

129 ბოგდანოვკის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების შესახებ

უფლებამოსილების ვადაზე ადრე ბოგდანოვკის რაიონის სახალხო მოსამართლის გასვლის გამო, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ბოგდანოვკის რაიონის სახალხო მოსამართლის არჩევნები კვირას, 1968 წლის 6 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 20 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

130 სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 27 ივლისის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 27 ივლისის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტის საქმის მოწესრიგების შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1934 წ., № 21, მუხ. 180).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

131 შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

ალექსანდრე პარმენის ძე **ეგუტიას** — თეატრის დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

1. დაგმარა არისტრახოს ასულ **გოგიჩაიშვილს** — მსახიობს.
2. ჟოზეფინა გერასიმეს ასულ **ტოგონიძეს** — მსახიობს.
3. გურამ გრიგოლის ძე **წერეთელს** — მსახიობს.
4. ბადრი დავითის ძე **ცომაიას** — მსახიობს.
5. პეტრე შალვას ძე **წულაიას** — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:

იუსტას იონას ძე **პეტრაიტისს** — თეატრის მთავარ მხატვარს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

1. კირილე იპოლიტეს ძე **ფაჟავას** — თეატრის დირექტორის მოადგილეს.
2. მამია ჯარნას ძე **ფიფიას** — უფროს ელგამნათებელს.
3. ჟუნა კაჭინას ასულ **ჭანტურიას** — რეკვიზიტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 27 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 ამხ. მ. ფ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ თეოფანეს ძე **ჩიხლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 6 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის თანამშრომლები:

1. ათანასე კირილეს ძე **გორბუნოვი** — განყოფილების უფროსი.
2. ვასილ პავლეს ძე **ეფოვი** — კორესპონდენტი.
3. ნელი იოსების ასული **ლორთქიფანიძე** — ასოთამწყობი.
4. იური ვლადიმერის ძე **მიშინევი** — შტატგარეშე კორესპონდენტი.
5. ევგენია იაგორის ასული **ორლოვა** — მემანქანე.
6. ალექსი ნიკოლოზის ძე **პავლოვსკი** — კორესპონდენტი.
7. კონსტანტინე გერასიმეს ძე **ჩერენტაევი** — განყოფილების უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 7 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

134 გაზეთ „სოვეტონ ირისტონის" მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „სოვეტონ ირისტონის" მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ბორის ნიკოლოზის ძე **ბაგაევი** — რედაქტორის მოადგილე.
2. მელიტონ ალექსანდრეს ძე **კაბულოვი** — მთარგმნელი.
3. გიორგი მიხეილის ძე **კუდუხოვი** — ლიტერატურული თანამშრომელი.
4. მარიამ პეტრეს ასული **კულუმბეკოვა** — ლიტერატურული თანამშრომელი.
5. კოსტა იოსების ძე **მარგიევი** — განყოფილების გამგე.
6. გრიგოლ ბესარიონის ძე **ნართიკოევი** — განყოფილების გამგე.
7. სოკრატ ვლადიმერის ძე **პლიევი**—პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.
8. ლუბა ელიოზის ასული **ქოჩიევა** — დამკაბადონებელი.
9. ალექსანდრე გიორგის ძე **ქუმარიტოვი** — რედაქტორი.
10. მიხეილ ვლადიმერის ძე **ხარებოვი** — განყოფილების გამგე.
11. კონსტანტინე ზაქარიას ძე **ჯიოევი** — რედაქტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

135 შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

136 შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, თეატრის დაარსების ასი წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ადელინა ბენიამინის ასული **ავალიანი** — თეატრის ბუღალტერი.
2. გიორგი აქვსენტის ძე **ახვლედიანი** — მსახიობი.
3. ვალიკო ხარიტონის ძე **გაბისონია** — მსახიობი.
4. დავით გუგუტის ძე **კობახიძე** — მთავარი რეჟისორი.
5. შალვა დიანოზის ძე **მოსია** — მსახიობი.
6. ალექსანდრე გრიგოლის ძე **როგავა** — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 27 სექტემბერი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 27 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლებით“ დააჯილდოვა 517 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისი		38
ქ. ჭიათურა		23
აბაშის	რაიონი	11
ამბროლაურის	„	7
ახალქალაქის	„	52
ბოგდანოვკის	„	13
ბოლნისის	„	51
გორის	„	10
გურჯაანის	„	1
დმანისის	„	148

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის	რაიონი	10
თეთრიწყაროს	„	14
ლანჩხუთის	„	2
ზუგდიდის	„	8
მესტიის	„	15
ორჯონიკიძის	„	4
საჩხერის	„	20
ყვარლის	„	10
ცაგერის	„	5
წალკის	„	35
წყალტუბოს	„	19
ხობის	„	10
სამხ. ოსეთის ა/ო		11

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებებით შეიქმნა შემდეგი საბჭოები:

გარდაბნის რაიონში: კოჯრის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: კოჯორი, კიკეთი და კვესეთი და შეიქმნა კოჯრის სადაბო საბჭო;

კოჯრის სასოფლო საბჭოს, სასოფლო საბჭოს ცენტრის შესაბამისად, ეწოდა ტაბახმელას სასოფლო საბჭო.

მარნეულის რაიონში: შულავერის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ზემო ყულარი, ქვემო ყულარი, დაშთაფა, ბუდიონოვკა, ყირმიზქენდი, კირიხლო და შეიქმნა ყულარის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ქვემო ყულარში.